

შპს „ჰელიო“

2022 წლის ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება ზარალის ანგარიშგება	4
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	5
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7

შპს „ჰელიო“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2022 თარიღისთვის

აქტივები	შენიშვნა	31-12-22 ლარი	31-12-21 ლარი	31-12-20 ლარი
ძირითადი საშუალებები	3	138,864	18,833	21,206
არამატერიალური აქტივები	4	1,502	1,767	2,079
სულ გრძელვადიანი აქტივები		140,366	20,600	23,285
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	5	562,712	421,011	227,272
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		958,058	430,293	476,639
სხვა მიმდინარე აქტივები	6	1,923,087	1,631,635	1,138,405
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,443,857	2,482,939	1,842,316
სულ აქტივები		3,584,224	2,503,539	1,865,601
საგადასახადო ვალდებულებები		78,577	-	43,286
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	289,388	456,835	151,348
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		367,966	456,835	194,635
სულ ვალდებულებები		367,966	456,835	194,635
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		297,958	297,958	297,958
გაუნაწილებელი მოგება		2,918,300	1,748,746	1,373,009
გადაფასების რეზერვი		-	-	-
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		-	-	-
სულ საკუთარი კაპიტალი		3,216,258	2,046,704	1,670,967
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		3,584,224	2,503,539	1,865,601

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი : ლევან თურმანიძე




შპს „ჰელიო“

მოგება ზარალის ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022 პერიოდისთვის

	შენიშვნა	2022 ლარი	2021 ლარი
ამონაგები	8	11,300,146	11,204,908
ამონაგების თვითღირებულება		(8,289,180)	(8,664,703)
საერთო მოგება		3,010,966	2,540,205
ადმინისტრაციული ხარჯები	9	(763,287)	(640,796)
არასაოპერაციო შემოსავალი / ხარჯი	10	120,474	9,777
მოგება დაბეგვრამდე		2,368,152	1,909,186
მოგების გადასახადი		(52,866)	(122,887)
წმინდა მოგება/ზარალი		2,315,286	1,786,299

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი : ლევან თურმანიძე



შპს „ჰელიო“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 31.12.2022 თარიღისთვის

	2022 ლარი	2021 ლარი	2020 ლარი
კლიენტებისგან მიღებული ფული	12,951,633	12,633,763	10,138,158
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(9,735,696)	(9,730,983)	(7,562,049)
დასაქმებულებზე გადახდილი ფული	(338,719)	(297,405)	(214,088)
გადახდილი გადასახადები	(1,184,511)	(1,258,436)	(926,492)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,692,708	1,346,940	1,435,530
ძირითადი საშუალებების შეძენა	(6,137)	(2,299)	(2,295)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(6,137)	(2,299)	(2,295)
სესხისა და სესხის პროცენტის მიღება/(გადახდა)	-	-	-
გადახდილი დივიდენდი	(1,129,965)	(1,373,880)	(1,130,110)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,129,965)	(1,373,880)	(1,130,110)
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	556,606	(29,239)	303,124
სავალუტო კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(28,841)	(17,107)	27,358
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	430,293	476,639	146,157
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	958,058	430,293	476,639

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი : ლევან თურმანიძე

ლ. თურმანიძე

შპს „ჰელიო“
საანგარიშგებო
402064635
GEORGIA
5


შპს „ჰელიო“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება 01.01.2022 - 31.12.2022
პერიოდისთვის

	საწესდებო კაპიტალი ლარი	გაუნაწილებელი მოგება ლარი	ჯამი ლარი
ნაშთი - 31.12.2020	297,958	1,373,009	1,670,967
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(1,410,562)	(1,410,562)
პერიოდის მოგება	-	1,786,299	1,786,299
ნაშთი - 31.12.2021	297,958	1,748,746	2,046,704
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	-	-	-
გაცემული დივიდენდები	-	(1,145,732)	(1,145,732)
პერიოდის მოგება	-	2,315,286	2,315,286
ნაშთი - 31.12.2022	297,958	2,918,300	3,216,258

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი : ლევან თურმანიძე



შპს „ჰელიო“

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

ჰელიო შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში (რეგისტრაციის თარიღი 15/09/2017). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, კოსმონავტების სანაპირო N51ბ. მისი ძირითადი საქმიანობაა საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით, წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით.

საქართველოს მასშტაბით ფლობს ფილიალებს: თბილისში, ბათუმში, ფოთში და ზუგდიდში.

კომპანიის წილის მესაკუთრეები:

არჩილ ლობჯანიძე (პ/ნ 35001004516) – 15%

შპს თერმოინდუსტრია (ს/კ 445411484) – 70%

ვეფხვია თურმანიძე (პ/ნ 61005002865) – 15%

კომპანიის ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა:

დირექტორი - ლევან თურმანიძე (პ/ნ 61004003603)

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

უცხოური ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ისეთი ვალუტა რომელიც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისაგან (უცხოური ვალუტა) აღიარებულია ტრანზაქციის თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი სახსრები გადაყვანილია მოცემულ თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით. სამართლიანი ღირებულებით აღიარებული არაფულადი სახსრები, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში, გადაყვანილია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი კურსით იმ თარიღში, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება იქნა დადგენილი. გაცვლითი კურსით კონვერტაცია არ ეხება იმ არაფულად სახსრებს, რომლებიც უცხოურ ვალუტაში განსაზღვრულია ისტორიული ღირებულებით.

ფულადი სახსრების საკურსო სხვაობები აღიარებულია მოგება-ზარალში იმ პერიოდში რომელშიც ისინი წარმოიშობა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები შემდეგნაირია:

	30-12-22	31-12-21
1 აშშ დოლარი/ლარი	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ყველანაირი სავაჭრო და გადახე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობებითა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. დივიდენდებზე გადაიხდება მოგების გადასახადი და ის დაირიცხება იმ აქციონერებზე დივიდენდებზე განაწილებულ მოგებაზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში.

გადასახადი დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც დივიდენდები გადაიხდება.

საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის პარტნიორებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და გაცხადდება, როგორც სხვა გადასახადები მოგება-ზარალის ანგარიშგებაში

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე. ნარჩენი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

- შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი
- სატრანსპორტო საშუალებები 10 პროცენტი
- მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა 8 - 10 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები აისახება დაგროვილი ცვეთითა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში. თუ შეუძლებელია არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის საიმედოდ განსაზღვრა, მაშინ მოცემული აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ხელმძღვანელობის შეფასების საფუძველზე, მაგრამ არ აღემატება 10 წელს.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების განხილვა, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების

ზარალის აღდგენის/კომპენსირების თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც კომპანიის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულებების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებს პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული მოთხოვნები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	ავიჯი და საოფისე ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	კომპიუტერული და საყოფაცხოვრებო ტექნიკა
პერიოდი 01/01/2020	1,332	8,330	10,490	3,747
შემოსვლა	708	298	-	727
ცვეთა	(248)	(1,378)	(2,098)	(519)
ჩამოწერა	-	(5)	-	(177)
პერიოდი 31/12/2020	1,792	7,245	8,392	3,777
პერიოდი 01/01/2021	1,792	7,245	8,392	3,777
შემოსვლა	229	828	-	49
ცვეთა	(257)	(1,078)	(1,678)	(466)
ჩამოწერა	-	-	-	-
პერიოდი 31/12/2021	1,763	6,995	6,714	3,361
პერიოდი 01/01/2022	1,763	6,995	6,714	3,361
შემოსვლა	-	39,202	113,254	850
ცვეთა	(217)	(8,820)	(23,641)	(551)
ჩამოწერა	-	(44)	-	-
პერიოდი 31/12/2022	1,546	37,333	96,326	3,660

4. არამატერიალური აქტივები

პერიოდი 01/01/2020	2,446
შეძენა	-
ცვეთა	(367)
პერიოდი 31/12/2020	2,079
პერიოდი 01/01/2021	2,079
შეძენა	-
ცვეთა	(312)
პერიოდი 31/12/2021	1,767
პერიოდი 01/01/2022	1,767
შეძენა	-
ცვეთა	(265)
პერიოდი 31/12/2022	1,502

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
მოთხოვნები ადგილობრივი მიწოდებიდან	562,712	421,011	227,272
სულ	562,712	421,011	227,272

6. სხვა მიმდინარე აქტივები

	2022	2021	2020
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	76,840	50,837	32,986
საქონელი	1,843,599	1,574,912	1,104,959
საწვავი	2,648	1,476	460
საგადასახადო აქტივი	-	4,411	-
სულ	1,923,087	1,631,635	1,138,405

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	2022	2021	2020
სავაჭრო ვალდებულებები	168,478	395,172	133,301
მიღებული ავანსები	120,910	61,663	18,048
სულ	289,388	456,835	151,348

8. ამონაგები

	2022	2021
ამონაგები საქონლის მიწოდებიდან	11,300,146	11,204,908
სულ	11,300,146	11,204,908

9. ადმინისტრაციული ხარჯები

	2022	2021
დასაქმებულთა ანაზღაურება	458,968	402,678
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	33,495	3,792
იჯარის ხარჯი	118,467	154,081
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	152,358	80,245
სულ	763,287	640,796

10. არასაოპერაციო მოგება/ზარალი

	2022	2020
საკურსო სხვაობა	28,141	13,039
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	(148,614)	(22,816)
სულ	(120,474)	(9,777)

11. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და მისი გამოცემის ნებართვა გაცემულია 2023 წლის 13 ივნისს.

შპს „ჰელიო“-ს

დირექტორი : ლევან თურმანიძე

ლ. თურმანიძე

